საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1711-02
05/07/2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მეთოდიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების”, რექტორის 2024 წლის 1 მაისის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მეთოდიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N1015-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2024 წლის 30 აპრილის N4 და 2024 წლის 1 ივლისის N7 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.დამტკიცდეს 2024 წლის 1 აგვისტოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მეთოდიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მეთოდიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას ეკატერინე სლოვინსკი.

2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისათვის: ბიბლიოთეკა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი